

# საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40  
2014 წლის 22 ოქტომბერი

## ქ. საჩხერე

### „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 დეკემბრის №16 დადგენილებაში (სსმ 25/12/13; სარეგისტრაციო კოდი 190020020,35,130,016076) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 1- ლი თავის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8,025.4	10,353.6	4,066.7	6,286.9	12,148.2	4,205.8	7,942.4
გადასახადები	442.4	471.5	0.0	471.5	430.0	0.0	430.0
გრანტები	7,096.1	9,326.7	4,066.7	5,260.0	10,850.2	4,205.8	6,644.4
სხვა შემოსავლები	486.9	555.4	0.0	555.4	868.0	0.0	868.0
ხარჯები	7,042.6	6,461.7	573.7	5,888.0	7,197.3	432.4	6,764.9
შრომის ანაზღაურება	1,518.8	2,039.3	0.0	2,039.3	2,096.9	0.0	2,096.9
საქონელი და მომსახურება	1,631.5	1,314.0	450.2	863.8	1,717.2	432.4	1,284.8
სუბსიდიები	2,147.8	2,745.9	48.8	2,697.1	2,952.9	0.0	2,952.9



გრანტები	1,490.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	254.5	360.0	74.7	285.3	415.4	0.0	415.4
სხვა ხარჯები	0.0	2.5	0.0	2.5	14.9	0.0	14.9
საოპერაციო სალდო	982.8	3,891.9	3,493.0	398.9	4,950.9	3,773.4	1,177.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,020.8	2,953.6	2,912.9	40.7	6,253.4	4,669.2	1,584.2
ზრდა	1,299.7	2,995.8	2,912.9	82.9	6,298.4	4,669.2	1,629.2
კლება	278.9	42.2	0.0	42.2	45.0	0.0	45.0
მოლიანი სალდო	-38.0	938.3	580.1	358.2	-1,302.5	-895.8	-406.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-38.0	938.3	580.1	358.2	-1,302.5	-895.8	-406.7
ზრდა	90.4	938.3	580.1	358.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	90.4	938.3	580.1	358.2	0.0	0.0	0.0
კლება	128.4	0.0	0.0	0.0	1,302.5	895.8	406.7
ვალუტა და დეპოზიტი	127.7	0.0	0.0	0.0	1,302.5	895.8	406.7
სესხები	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. 1-ლი თავის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

	2012 წლის	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა	
		მათ შორის	მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



დასახელება	ფაქტი	სულ	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	8305.0	10395.8	4066.7	6329.1	12193.2	4205.8	7987.4
შემოსავლები	8025.4	10353.6	4066.7	6286.9	12148.2	4205.8	7942.4
არაფინანსური აქტივების კლება	278.9	42.2	0.0	42.2	45.0	0.0	45.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	8342.3	9457.5	3486.6	5970.9	13495.7	5101.6	8394.1
ხარჯები	7042.6	6461.7	573.7	5888.0	7197.3	432.4	6764.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1299.7	2995.8	2912.9	82.9	6298.4	4669.2	1629.2
ნაშთის ცვლილება	-37.3	938.3	580.1	358.2	-1302.5	-895.8	-406.7

3. მე-2 თავის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
 „მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 12148,2 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8025.4	10353.6	4066.7	6286.9	12148.2	4205.8	7942.4
გადასახადები	442.4	471.5	0.0	471.5	430.0	0.0	430.0



გრანტები	7096.1	9326.7	4066.7	5260.0	10850.2	4205.8	6644.4
სხვა შემოსავლები	486.9	555.4	0.0	555.4	868.0	0.0	868.0

4. მე-2 თავის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახადები 430,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
გადასახადები	442.4	471.5	430.0
ქონების გადასახადი	442.4	471.5	430.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	229.8	254.8	270.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	125.4	106.4	85.0
ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ ქონებაზე	30.9	6.8	38.0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	94.5	99.6	47.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	34.6	19.2	21.0
ფიზიკური პირებიდან	20.8	9.7	16.0
იურიდიული პირებიდან	13.8	9.5	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	52.6	91.1	54.0
ფიზიკური პირებიდან	8.3	19.3	13.0
იურიდიული პირებიდან	44.3	71.8	41.0

5. მე-2 თავის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გრანტები 10850,2 ათასი ლარის ოდენობით.



დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
გრანტები	7096.1	9326.7	10850.2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7096.1	9326.7	10526.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	5297.7	5260.0	6644.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	5107.7	5070.0	6454.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190.0	190.0	190.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1798.4	4066.7	4205,8
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	100.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	16.0	74.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	700.0	2920.8	1922.5
ადგილობრივი წყლის კომპანიების მხარდაჭერის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები	982.4	953.0	970.7
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრები	0.0	69.9	988.9
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დანაკლისის შევსება	0.0	48.8	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულებით გაზომვარაგების სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	323.7

”

6. მე-2 თავის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 6. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 868,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



სხვა შემოსავლები	486.9	555.4	868.0
შემოსავლები საკუთრებიდან	307.4	403.6	672.1
პროცენტები	82.7	100.3	230.0
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	82.7	100.3	230.0
რენტა	224.7	303.3	442.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	224.5	303.3	441.1
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	147.2	163.6	310.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	60.3	84.3	56.5
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	0.5	0.9	0.6
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	1.8	1.8	4.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	14.7	52.7	70.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუმფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.2	0.0	1.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	58.9	59.1	63.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	57.8	58.1	62.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.3	0.0	0.5
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	50.3	48.7	51.4
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	7.2	9.4	10.0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	7.2	9.4	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1.1	1.0	1.0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	1.1	1.0	1.0
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუმფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1.1	1.0	1.0



საქციები (ჯარიმები და საურავები)	77.7	90.4	130.8
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	77.7	90.3	128.8
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში	12.5	11.8	15.0
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	10.7	10.4	20.4
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	40.0	61.8	85.6
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	39.0	58.7	65.0
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	1.0	3.1	20.6
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელშეწყობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0.8	2.1	1.3
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	12.7	4.2	5.5
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1.0	0.0	1.0
შემოსავალი საქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო	0.0	0.0	1.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული საქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	0.0	0.1	1.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42.9	2.3	2.1
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42.9	2.3	2.1

7. მე-3 თავის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები 7197,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.



დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,042.6	6,461.7	573.7	5,888.0	7,197.3	432.4	6,764.9
შრომის ანაზღაურება	1,518.8	2,039.3	0.0	2,039.3	2,096.9	0.0	2,096.9
საქონელი და მომსახურება	1,631.5	1,314.0	450.2	863.8	1,717.2	432.4	1,284.8
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	57.2	73.9	0.0	73.9	116.6	0.0	116.6
მივლინება	9.5	17.8	0.0	17.8	18.4	0.0	18.4
ოფისის ხარჯები	226.9	168.5	5.4	163.1	339.5	10.1	329.4
წარმომადგენლობითი ხარჯები	17.7	27.7	16.0	11.7	30.0	0.0	30.0
კვების ხარჯები	29.9	35.0	0.0	35.0	24.0	0.0	24.0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	9.6	7.6	0.0	7.6	12.0	0.0	12.0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	189.7	93.1	0.0	93.1	133.9	0.0	133.9
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1,091.0	890.4	428.8	461.6	1,042.8	422.3	620.5
სუბსიდიები	2,147.8	2,745.9	48.8	2,697.1	2,952.9	0.0	2,952.9
გრანტები	1,490.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	254.5	360.0	74.7	285.3	415.4	0.0	415.4
სხვა ხარჯები	0.0	2.5	0.0	2.5	14.9	0.0	14.9



8. მე-3 თავის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6253,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6298,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებშია

პროგრამული კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	108.1	53.2	0.0	53.2	135.8	0.0	135.8
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	27.6	4.4	0.0	4.4	21.7	0.0	21.7
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1104.0	2746.3	2728.9	17.4	5059.6	3956.9	1102.7
04 00	განათლება	0.0	191.9	184.0	7.9	941.2	712.3	228.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	60.0	0.0	0.0	0.0	140.1	0.0	140.1
	ჯამი	1,299.7	2,995.8	2,912.9	82.9	6,298.4	4,669.2	1,629.2

ბ) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 45.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	278.9	42.2	45.0
311	ძირითადი აქტივები	241.1	0.6	35.0



3111	შენობა ნაგებობები	241.1	0.6	10.0
31112	არასაცხოვრებელი შენობები	241.1	0.6	10.0
3113	სხვა ძირითადი აქტივები	0.0	6.3	25.0
311322	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	0.0	6.3	25.0
314	არაწარმოებული აქტივები	37.8	35.3	10.0
3141	მიწა	37.8	35.3	10.0

9. მე-3 თავის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 9. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3125.0	2,064.1	16.0	2048.1	2,437.6	0.0	2,437.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,617.6	2,064.1	16.0	2,048.1	2,437.6	0.0	2,437.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,617.6	2,064.1	16.0	2,048.1	2,401.8	0.0	2,401.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	35.8	0.0	35.8



7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	1,490.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	17.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	131.7	141.4	0.0	141.4	146.9	0.0	146.9
7021	შეიარაღებული ძალები	131.7	141.4	0.0	141.4	146.9	0.0	146.9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	392.3	292.4	0.0	292.4	374.4	0.0	374.4
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	149.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	243.2	292.4	0.0	292.4	374.4	0.0	374.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	506.3	2,142.3	2,135.9	6.4	1,568.0	1,266.2	301.8
7045	ტრანსპორტი	506.3	2,142.3	2,135.9	6.4	1,568.0	1,266.2	301.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	506.3	2,142.3	2,135.9	6.4	1,568.0	1,266.2	301.8
705	გარემოს დაცვა	379.9	414.0	0.0	414.0	1,166.0	493.8	672.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	299.9	324.4	0.0	324.4	545.6	0.0	545.6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	80.0	80.0	0.0	80.0	124.2	36.7	87.5
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	0.0	0.0	0.0	457.1	457.1	0.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა დალანშაფტების დაცვა	0.0	9.6	0.0	9.6	39.1	0.0	39.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1708.6	1,441.2	1,027.2	414.0	3,471.8	2,629.3	842.5
7061	ბინათმშენებლობა	46.2	0.0	0.0	0.0	323.7	323.7	0.0
7062	კომუნალური	95.8	44.2	44.2	0.0	496.5	306.4	190.1



	მეურნეობის განვითარება							
7063	წყალმომარაგება	344.5	312.5	0.0	312.5	1,340.5	1,007.5	333.0
7064	გარე განათება	85.0	124.6	30.0	94.6	164.0	21.0	143.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,137.1	959.9	953.0	6.9	1,147.1	970.7	176.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	79.7	101.9	0.0	101.9	100.3	0.0	100.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	79.7	101.9	0.0	101.9	100.3	0.0	100.3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1187.6	1,351.9	0.0	1351.9	1,564.9	0.0	1,564.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	538.2	565.9	0.0	565.9	560.8	0.0	560.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	566.8	721.2	0.0	721.2	962.1	0.0	962.1
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	42.6	35.0	0.0	35.0	12.2	0.0	12.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	29.8	0.0	29.8	29.8	0.0	29.8
709	განათლება	517.1	1,096.0	232.8	863.2	2,224.8	712.3	1,512.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	400.9	937.9	232.8	705.1	1,997.1	712.3	1,284.8
7096	განათლების სფეროში დამხმარე მომსახურება	4.8	3.3	0.0	3.3	77.5	0.0	77.5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	111.4	154.8	0.0	154.8	150.2	0.0	150.2
710	სოციალური დაცვა	314.1	412.3	74.7	337.6	441.0	0.0	441.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	74.8	110.2	0.0	110.2	212.0	0.0	212.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	53.0	80.0	0.0	80.0	175.0	0.0	175.0



71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	21.8	30.2	0.0	30.2	37.0	0.0	37.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	10.0	12.3	0.0	12.3	8.0	0.0	8.0
7103	მარჩენადაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	10.6	28.5	0.0	28.5	30.0	0.0	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	90.0	142.2	74.2	68.0	85.0	0.0	85.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.8	0.0	0.8	7.0	0.0	7.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	88.9	79.0	0.0	79.0	70.0	0.0	70.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	39.8	39.3	0.5	38.8	29.0	0.0	29.0
	სულ	8,342.3	9,457.5	3,486.6	5,970.9	13,495.7	5,101.6	8,394.1

10. მე-4 თავის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 10. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1302,5 ათასი ლარის ოდენობით.“

11. მე-4 თავის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 11. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 1302,5 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
ვალუტა და დეპოზიტები	90.4	938.3	0.0



3. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 1302,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ფინანსური აქტივების კლება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
ვალუტა და დეპოზიტები	127.7	0.0	1302,5
სესხები	0.7	0.0	0.0

12. მე-4 თავის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 12. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 35,8 ათასი ლარის ოდენობით.

13. მე-5 თავის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 13. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გაგრძელდება თავდაცვის და საგანგებო სიტუაციის დაფინანსება.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა კანონმდებლობების მიხედვით თვითმმართველი ერთეულისათვის წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მთლიანად მოხმარდება მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის მიერ წვევანდელთა სამხედრო აღრიცხვის ღონისძიებების, წვევანდელთა გაწვევის ორგანიზების და შესაბამის გამწვევ პუნქტებამდე ტრანსპორტირების, რეზერვის აღრიცხვის და გაწვევის ორგანიზების და სხვა კანონმდებლობებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას.

პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო ვალდებულთა სრული აღრიცხვა, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

1.2 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება საჩხერის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამართული ფუნქციონირება. ამ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ასიგნებები იძლევა გარანტიას რომ, სამსახურის მიერ მაღალ დონეზე განხორციელდეს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი პრევენციის ღონისძიებების, ხოლო საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, მიწისძვრა,



წყალდიდობა და ა. შ) წარმოქმნის შემთხვევაში მათი სალიკვიდაციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში სამსახურის მუშაკთა შრომის ანაზღაურებასთან ერთად დაფინანსდება პერსონალის დაზღვევის, სპეციალური ავტოტრანსპორტის მოვლა- შენახვის, ექსპლოატაციის, სახანძრო და სამაშველო ინვენტარის, სპეცტანსაცმლის, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანის (სამაშველო განყოფილებისათვის) და სხვათა შეძენის ხარჯები.

ამ პროგრამების განხორციელებით შესაძლებლობის ფარგლებში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სტიქიების შედეგად გამოწვეული ზარალი და დაცული იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

## 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელ ძირითად პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ახლის მშენებლობასთან ერთად განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### 2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თოვლისაგან საავტომობილო გზების გაწმენდა მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა, ხიდ-ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და ქუჩების მონიშვნითი სამუშაოების ჩატარება, ქალქა საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია, საავტომობილო ხიდების მშენებლობა, ქ. საჩხერეში საავტომობილო და საცალფეხო ხიდებს შორის საყრდენი კედლის მშენებლობა.

### 2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, არსებული სასმელი წყლის სისტემების და გარე განათების ქსელის მოვლა-ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

#### 2.2.1 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩების, სკვერების, მოედნების და სხვათა ყოველდღიური დასუფთავება. ქ. საჩხერიდან და მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებიდან და ცენტრალური საავტომობილო გზის პირებიდან ნაგვის გატანა, ნაგავსაყრელამდე მიტანა და სხვა. ამ ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სუფთა გარემო და კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობა.

#### 2.2.2 საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში არსებული ჩამდინარე წყლების სისტემების, სანიაღვრე კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაციის ღონისძიებები. ამ სისტემების ობიექტების გამართული მუშაობისათვის იგეგმება ბიუჯეტიდან სუბსიდიის გადაცემა ამ სისტემების მესაკუთრე შპს „საჩხერის წყალკანალზე“. ამ ღონისძიებების განხორციელებით თავიდან იქნება აცილებული საკანალიზაციო სისტემებიდან ნახმარი წყლის გაჟონვა და მდინარეში ჩადინდება გაწმენდილი საკანალიზაციო მასა, გარანტირებული გახდება გარემოს დაცვა.

#### 2.2.3 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქ. საჩხერის, სოფლების არგვეთისა და მერჯევის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დაბალი ტარიფით და 24 საათიან რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემების მესაკუთრე, წყლის მიმწოდებელი, მუნიციპალური საწარმოს შპს „საჩხერის წყალკანალის“ სუბსიდირება.

#### 2.2.4 გარე განათება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)



მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. საჩხერეში, გომი-საჩხერის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სოფლებში სხვიტორში, ჭორვილაში და პერევიში არსებული გარე განათების ქსელის ტექნიკური მოვლისა და მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები.

### 2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერის გამწვანება და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

#### 2.3.1 ქ. საჩხერის გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩებში, სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაზონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილია ა(ა)იპ „ზურმუხტი“.

#### 2.3.2 სასაფლაოების შემოღობვა, კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში ორი ერთეული სასაფლაოს მოვლა-პატრონობა.

### 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართებით ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამასთან ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დაფინანსება.

#### 3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 12 ერთეული საბავშვო ბაღი, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 850 აღსაზრდელი, რომელთა აღზრდას ემსახურება 128 აღმზრდელი და ტექნიკური მუშაკი. ბიუჯეტიდან ერთი აღსაზრდელის აღზრდის დაფინანსებაზე უნდა დაიხარჯოს 1040 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს შრომის ანაზღაურების, კვების, ინვენტარის შეძენის და სხვა ხარჯების დაფინანსებას. 2014 წელში გათვალისწინებულია 7 ერთეული საბავშვო ბაღის გახსნა. ბაღები გახსნილი იქნება ქორეთის, გორისის, პერევის, კორბოულის, ზედა ორლულის, ჭალოვანის და მერჯევის სოფლებში. აღნიშნული ბაღები მოემსახურება 250 საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს აღსაზრდელების ყოფით პირობებს.

#### 3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯებისა და საჩხერის #2 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის რესურს კაბინეტის და ბიბლიოთეკის მოწყობის დაფინანსება.

#### 3.3 ა(ა) იპ- საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება.

### 4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

#### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელება იმედისმომცემ სპორტსმენებზე სტიპენდიების გაცემა.

##### 4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მასშტაბის სპორტული ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ, ფეხბურთში, ჭადრაკში, ძალოსნობაში, კრივში, ჭიდაობაში და სხვა. ამასთან იმედის მომცემ სპორტსმენზე წლის განმავლობაში გაცემა 6,0 ათასი ლარის ოდენობის სტიპენდია.

##### 4.1.2 ა(ა)იპ-საჩხერის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლისა და ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზის დაფინანსება. ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 42 სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 605 ბავშვი ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი საკუთარ შემოსავლებთან ერთად დაფინანსებას ღებულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაც. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სქოლიოზითა და სხვადასხვა ტრამვებით დაავადებული ბავშვები.

#### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

##### 4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია დაფინანსდეს გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება სრულიად საქართველოს ფესტივალი „ქართული მრავალჟამიერი და აკვნის ნანები“, სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, საესტრადო სიმღერის ფესტივალი „ვარდების თვე“, ღონისძიება „სტუმარ-მასპინძელი“, ნათელა ხარაიშვილის, ბონდო მუმლაძის, მიხეილ გოგატიშვილის წიგნების გამოცემები, თბილისისა და ჭიათურის მხრიდან საჩხერის შემოსასვლელებთან სტელელების დადგმა.

##### 4.2.2 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების და მუზეუმების, სულ 9 ერთეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასაც.

#### 4.3 მასმედიას ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ინფორმაციისა და სამართლებრივი აქტების გავრცელების შესყიდვა, რომელშიც გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ მიღებული და გამოცემული დადგენილებები, განკარგულებები და ბრძანებები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

#### 4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)



პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის ნორჩ შემოქმედთა ბანაკის მომსახურებებისა და მგზავრობის ხარჯები და სხვა.

#### 4.5 ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ფინანსური დახმარება.

#### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

##### 5.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერების ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

##### 5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

